პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 243 (3473)
16
1967 წ. დეკემბერი. შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных общества и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკი“ და კიევის „სტროიტელი“. მწვავე და დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს კიეველებმა, — 59:54 (30:26).

კალათბურთი

მეგობრობა გზად და ზიდად

საქართველოსა და აზერბაიჯანში თითქმის ერთდროულად აშენდა მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის ცენტრები — რუსთავი და სუმგაითი. ამ ორი ქალაქის მეგობრობასაც სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი. რუსთაველები და სუმგაითელები ერთმანეთს მარტო შრომაში კი არა, სპორტშიც ეჯიბრებიან. შედეგებს ყოველი წლის ბოლოს აჯამებენ...

წლეულს მასპინძლობა რუსთაველებს ხვდათ წილად. კალათბურთელ გოგონათა ასპარეზობაში სუმგაითელებმა ისახელეს თავი — 63:47. ფრენბურთშიც სტუმრებმა იმარჯვეს — 3:1. სამაგიეროდ, ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში მასპინძლებმა აიღეს რევანში — 3:1. რუსთაველი სპორტსმენების უპირატესობით დამთავრდა მოჭადრაკეთა (2,5:0,5) და მოშშეთა (3:0) ტურნირებიც.

რ. ბაბრიშიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მოჭადრაკეთა და ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრების მომენტები.

ფოტო ავტორისა.

ჭადრაკი

ლოს-ანჟელოსი, 18 თებერვალი

ტუნისის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებისას იქვე — სუსში უნდა ჩატარებულიყო დამატებითი შეჯიბრება ს. რეშევსკის (აშშ), ვ. ჰორტსა (ჩეხოსლოვაკია) და ლ. შტეინს (სსრ კავშირი) შორის პრეტენდენტის მეექვსე საგზურისთვის, მაგრამ რეშევსკის თხოვნით იგი გადაიტანეს ნიუ-იორკში 1968 წლის თებერვლისთვის.

ტურნირის ორგანიზატორებმა გააფრთხილეს ამერიკელი დიდოსტატი, რომ სამთა მატჩ-ტურნირის ჩატარების ხარჯები უნდა ეკისროს აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციამ. პასუხის ბოლო დღედ 15 დეკემბერი იყო დათქმული.

მონაწილეებმა გადაწყვიტეს ამერიკაში თამაშის შემთხვევაში მატჩ-ტურნირი ოთხ წრედ ითამაშონ. მართლაც, განა ღირს ორ-ორი პარტიის სათამაშოდ ათასობით კილომეტრის გავლა.

11 დეკემბერს აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა ე. ედმუნდსონმა შეატყობინა ფიდე-ს პრეზიდენტს, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჭადრაკის ფედერაციებს, რომ ამერიკის ჭადრაკის მესვეურნი თანახმა არიან ითავონ მატჩ-ტურნირის ჩატარება. სათამაშო ადგილად მათ აირჩიეს ლოს-ანჟელოსი, ცნობილი ამერიკელი მოჭადრაკის ლ. შტეინერის სახელობის საჭადრაკო კლუბი, ხოლო შეჯიბრების დაწყების დღედ — 18 თებერვალი.

რანიკუს — 5-დან 5!

სოჩი, 15 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში უკვე 5 ტურმა განვლო. დიდი წარმატებით თამაშობს საერთაშორისო ოსტატი მ. რანიკუ (ტალინი), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

ესტონელ მოჭადრაკეს კვალში ჩაუდგნენ: კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი) — 4,5, ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), ნ. ვოიციკი (მოსკოვი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — 4-4, ც. კახაბრიშვილი (თბილისი), ნ. აფანასიევა, ნ. კონოპლიოვა, მ. შუმილინა (სამივე — მოსკოვი), ნ. დანილოვა (ლენინგრადი), ლ. იაკირი (კიევი), ს. როოტარე (ტალინი), ა. სავიუკი (კამენეც-პოდოლსკი), გ. ოსიგინა (გომელი) და ი. როზენცვაიგი (ლვოვი) — 3,5-3,5.

მოგვყავს საქართველოს მოჭადრაკეთა შედეგები განვლილ ტურებში:

IV ტური. უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა ბორისენკო — კახაბრიშვილის შეხვედრა, რომელიც ბოლოს ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ, აგრეთვე, ნ. ხუბულური — ოსიგინა, კ. პილცერი — ზ. ვილერტე (რიგა). ს. ივანოვამ მოუგო თ. გრაჩოვას (ლენინგრადი), ა. ჩაიკოვსკაიამ — ს. იგნატჩენკოს (ზაპოროჟიე), ც. კობაიძემ — კ. საფარიანს (ერევანი), ხოლო ნ. მანველოვა დამარცხდა აფანასიევასთან.

V ტური. კახაბრიშვილმა უპირატესობა მოიპოვა გამოცდილ ოსტატ როოტარესთან შეხვედრაში, მაგრამ ესტონელმა შეძლო თამაშის გათანაბრება — ყაიმი. ასეთივე შედეგით დაკმაყოფილდნენ ჩაიკოვსკაია და ივანოვა შესაბამისად კ. ზვორიკინასა (მინსკი) და ლ. შადურასთან (კურსკი). კობაიძემ დაამარცხა ნ. კარუზინა (რიგა), პილცერმა — გრაჩოვა. ხუბულურმა წააგო აფანასიევასთან, ხოლო მანველოვამ — ნ. გორდონთან (კიშინიოვი).

ზ. მიხაილოვი.

საყაიმო განწყობილება

ხარკოვი, 15 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ვაჟთა 35-ე საჭადრაკო ჩემპიონატის V ტურში ლიდერებმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს: პოლუგაევსკიმ (მოსკოვი) — ტაიმანოვთან (ლენინგრადი), ტალმა (რიგა) — სახაროვთან (კიევი), ბუტნორისმა (ლატვია) — ქელიანდინოვთან (რსფსრ). მდგომარეობა გაიუმჯობესეს ვასიუკოვმა (მოსკოვი) და ქურავლიოვმა (ლატვია), რომლებმაც შესაბამისად მოუგეს ლევინს (უკრაინა) და ჩეპუკაიტისს (ლენინგრადი).

მოგვყავს საქართველოს მოჭადრაკეთა შედეგები:

IV ტური. უბილავამ კარგ სტილში მოუგო კამინსკის (რსფსრ), იზვოზჩიკოვმა — მუჩნიკს (მოსკოვი), ხოლო წერეთელმა — ქუხოვიცკის (რსფსრ). ყაიმით დამთავრდა გურგენიძე — ზაგოროვსკის (რსფსრ) შეხვედრა. ბერაძე დამარცხდა სახაროვთან, ხოლო კარკმაზოვი — ცეშკოვსკისთან (რსფსრ).

V ტურში იზვოზჩიკოვმა სძლია ზახარიანს (ერევანი), ხოლო გურგენიძე — ბაგიროვის (ბაქო), უბილავა — კოცის (დონეცკი) პარტიები ყაიმით დამთავრდა. ბერაძემ ისევ წააგო, ამჯერად, ნიკოლაევსკისთან (კიევი). კარკმაზოვი დამარცხდა საზონოვთან (ბელორუსია), ხოლო წერეთელი — ჩერეპკოვთან (ლენინგრადი).

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბუტნორისი — 4,5, ვასიუკოვი, პოლუგაევსკი, ტაიმანოვი, ტალი, ქურავლიოვი და სახაროვი — 4-4.

აი, ჩვენი მოჭადრაკეების მდგომარეობაც: გურგენიძე, უბილავა — 3-3, ბერაძე, იზვოზჩიკოვი — 2,5-2,5, წერეთელი — 2, კარკმაზოვი — 0.

ა. არნშტეინი,
ოსტატობის კანდიდატი.

◆ **პალმა,** 15 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის XV ტურში ლარსენი 26-ე სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა ტორანს. ასეთივე შედეგით აღინიშნა ბოტვინიკ — ტატაისა და სმისლოვ — ბელნარსკის პარტიები. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ლიდერობას ინარჩუნებს ლარსენი — 12 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ბოტვინიკი და სმისლოვი. ს. გლიგორიჩს 9,5 ქულა აქვს.

◆ **მინსკი,** 15 დეკემბერი. ასუჭრიან შაშში სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე ცნობილი გახდნენ მედლების მფლობელები. ესენი არიან კიეველი კუპერმანი, რიგელი ანდრეიკო და მინსკელი განტვარგი. ისინი მიუწვდომელი არიან დანარჩენი მეტოქეებისთვის. კიეველს 11,5 ქულა აქვს, ხოლო ანდრეიკოსა და განტვარგს — ნახევარი ქულით ნაკლები.

◆ **პრაღა,** 15 დეკემბერი. ჩეხოსლოვაკიის 1967 წლის საუკეთესო სპორტსმენის სიას სათავეში მოექცა ქალი. ეს არის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში ვ. ჩასლავსკა.

◆ **ადელაიდა,** 15 დეკემბერი. მსოფლიოს რეკორდსმენი რონ კლარკი 3000 მეტრზე რბენაში დამარცხდა ავსტრალიის რეკორდსმენთან ამ დისტანციასა და წინაღობებით 3000 მეტრზე რბენაში კ. ო'ბრაიენთან. გამარჯვებულის დროა 8.04,0. აქ სტუმრად მყოფმა სახელგანთქმულმა ამერიკელმა სპრინტერმა თ. სმითმა გაიმარჯვა 100 მეტრზე რბენაში საკმაოდ დაბალი შედეგით — 10,7.

ფეხბურთის ამბები

ბარანკილია, 14 დეკემბერი. კოლუმბიის ამ ქალაქის იუნიორთა ნაკრებთან მორიგი მატჩი გამართეს მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა და გაიმარჯვეს — 2:1.

ბუქარესტი, 14 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „რაპიდსა“ და ტურინის „იუვენტუსს“ შორის ფრედ (0:0) დამთავრდა. მეოთხედფინალში გავიდა „იუვენტუსი“, ვინაიდან საკუთარ მინდორზე მოგება ჰქონდა (1:0). „იუვენტუსი“ მეოთხედფინალის მერვე მონაწილეა. დანარჩენი შვიდნი არიან: მადრიდის „რეალი“, ზაბჟეს „გურნიკი“, „აინტრახტი“ (გფრ), ლისაბონის „ბენფიკა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), ბუდაპეშტის „ვაშაში“ და პრაღის „სპარტა“.

ლონდონი, 14 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრა ადგილობრივ „ტოტენჰემსა“ და ლიონის „ოლიმპიკს“ შორის დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით (4:3), მაგრამ ინგლისელები მაინც გამოეთიშნენ გათამაშებას, ვინაიდან მეტოქის მინდორზე დამარცხდნენ — 0:1.

ბუქარესტი, 15 დეკემბერი. გამოვლინდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების უკანასკნელი მეოთხედფინალისტიც. ესაა ესპანეთის „ვალენსია“, რომელიც გუშინ აქ დამარცხდა ადგილობრივ „სტიაუასთან“ — 0:1. სამაგიეროდ, პირველ მატჩში დიდი ანგარიშით იმარჯვეს ესპანელებმა — 5:0.

ამრიგად, მეოთხედფინალში გავიდნენ „ტორპედო“ (მოსკოვი), „მილანი“ (იტალია), „ჰამბურგერშპორტფერაინი“ და „ბაიერნი“ (ორივე — გფრ), „სტანდარდი“ (ბელგია), „კარდიფ-სიტი“ (უელსი), „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი) და „ვალენსია“ (ესპანეთი).

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალისტთა წილისყრა გაიმართება 18 დეკემბერს ციურიხში.

ქალაქს საფრთხე ემუქრება

მეხიკოს დედაქალაქს საფრთხე ემუქრება: იგი ნელ-ნელა „იძირება“. მეცნიერებმა, რომლებმაც ამ საკითხის შესწავლას მოჰკიდეს ხელი, დაასკვნეს, რომ საფრთხის უმთავრესი მიზეზი უწყლობაა. საგანგებო სადგურები მიწის სიღრმიდან ყოველ წამს 9,5 კუბომეტრ წყალს იღებენ ქალაქის შვიდმილიონიანი მოსახლეობისა და მრეწველობისთვის. ბურღავენ ახალ ჭაბურღილებს, ამოაქვთ წყალი, — მიწისქვეშა მარაგი კი ნადგურდება. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქალაქის საძირკველმა დაიწია. ეროვნული სასახლის რაიონი 1900 წლიდან დღემდე 14 მეტრით ჩაწვა. 6-10 მეტრით დაიწვა ნიადაგი წმიდა ავგუსტინე ალკომანის ტაძრისა და ალამედის ბანკის რაიონში.

ტურისტული ორიენტირება — კარგია!



სპორტის ახალ სახეობაში — ტურისტულ ორიენტირებაში ქართველ მოყვარულთა „ნათლისღება" 1964 წლის სექტემბერში მოხდა მოძმე აზერბაიჯანში, ულამაზესი ტბის გიოკ-გიოლის მიდამოებში. ჩვენთვის მანამდე ცნობილი იყო ტურისტული შეჯიბრებების მხოლოდ ისეთი სახეობები, როგორიცაა კოცონის დანთება, კარვის გაშლა, ესტაფეტა და სხვ.

ტურისტული ორიენტირება ისევე, როგორც კლდეზე ცოცვა და სპელეოლოგია, სსრ კავშირში ერთ-ერთი ახალი და უდავოდ საინტერესო და სასარგებლო სახეობაა. მის დანერგვასა და გავრცელებაში დიდი გამოცდილება აქვთ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს. იქ წელიწადში საშუალოდ 20 შეჯიბრება ტარდება ტურისტულ ორიენტირებაში.

ამ შეჯიბრების მონაწილისთვის მარტო კარგი ფიზიკური მომზადება როდი კმარა: იგი კარგად უნდა კითხულობდეს რუკას, ხმარობდეს კომპასსა და ტრანსპორტირს, უნდა იყოს ალღოიანი, დაკვირვებული და სწრაფი. ყველა ამ თვისებას სპორტსმენი შეიძენს გამუდმებული თეორიული და ფიზიკური წვრთნით და, რაც მთავარია, შეჯიბრებებში ხშირი მონაწილეობით.

ასპარეზობა ასე ტარდება: მონაწილე ვალდებულია სრულიად უცნობ მიდამოში რუკითა და კომპასით გაიკვლიოს გზა დადგენილ დროში. სტარტზე იგი ღებულობს რუკას, რომელზეც აღნიშნულია მსაჯთა კოლეგიის მიერ შეფასებული ყველა გასასვლელი პუნქტი. პუნქტებისა და სტარტ-ფინიშის ადგილები ერთმანეთთან დაკავშირებულია საველე რადიოსადგურებით. მონაწილეებს ტრასებზე თვალს ადევნებენ მსაჯები ტრასის უფროსის ხელმძღვანელობით.

შეჯიბრება ორნაირად შეიძლება ჩატარდეს: სავალდებულო ან არჩევითი წესით. პირველ შემთხვევაში გამარჯვებული ვლინდება ყველა სავალდებულო პუნქტის თანმიმდევრობით, მინიმალურ დროში გავლით; მეორე შემთხვევაში,— მონაწილეთა მიერ წინასწარ არჩეული პუნქტების ნებისმიერად, მინიმალურ დროში გავლით.

საქართველოში ტურისტული ორიენტირების დანერგვის თაოსნები თბილისელები არიან. პირველი შეჯიბრება — თბილისის პირველობა 1964 წლის ოქტომბერში ჩატარდა მარტყოფის მიდამოებში. შეჯიბრებები შემდგომშიც იმართებოდა, მაგრამ არასისტემატურად, რასაც კარგი ნაყოფი არ მოყვება. სასურველია, რომ სათანადო ორგანოებმა, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უფრო ქმედითი დახმარება გაუწიონ თბილისელ მოყვარულებს, რომლებიც უკვე ძალიან დაინტერესდნენ ტურისტული ორიენტირებით. ამას ადასტურებს ლილოს მიდამოებში ამას წინათ გამართული შეჯიბრებაც. მასში მონაწილეობდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის, ტოპოგრაფიული ტექნიკუმის, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, ოფიცერთა საოლქო სახლის, სამხატვრო აკადემიის, № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის, თბილისის მოზარდთა სპორტსკოლის კოლექტივები. ზოგიერთმა მათგანმა საასპარეზოდ ორ-ორი გუნდიც კი გამოიყვანა.

8 დეკემბერს თბილისის ტურისტული კლუბის შენობაში ჩატარდა საზეიმო შეკრება, რომელმაც შეაჯამა წლევანდელი შეჯიბრების შედეგები. I გუნდური ადგილი დაიკავეს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა, რომლებმაც 3300 ქულა დააგროვეს. მათ გადაეცათ გარდამავალი ბროლის თასი, I ხარისხის ვიმპელი და სიგელი.

მოზარდთა სპორტსკოლის პირველ გუნდს II საპრიზო ადგილზე გასვლისთვის გადაეცა II ხარისხის ვიმპელი და სიგელი. მან 2900 ქულა დააგროვა. III ხარისხის ვიმპელითა და სიგელით დაჯილდოვდა ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდი — 2585 ქულა.

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ა. შურღაიამ (სამხატვრო აკადემია, 1300 ქულა), ზ. ნანიკაშვილმა (ოფიცერთა სახლი, 650), შ. ქოქოშვილმა (მოზარდთა სპორტსკოლა, 825), გ. სტარჩიკმა (ჩარხსაშენი ქარხანა, 400).

ე. მახარაძე.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — შეხვედრა საკონტროლო პუნქტთან; მარჯვნივ — შეჯიბრების მონაწილე ჯ. რაზმაძე ტრასაზე.

ფოტო ჯ. ანდღულაძისა.

როცა გამარჯვება ახლოს იყო...

მოსკოვი, 14 დეკემბერი. როცა რადიომ გადმოგვცა, რომ ზ. ზიგმუნდის მემორიალში არ მონაწილეობენ ჩოგბურთის ისეთი ცენტრები, როგორიცაა საქართველო, ესტონეთი, და ლენინგრადი, ალბათ, ამ რესპუბლიკების სახელგანთქმულ სპორტსმენებს გულისხმობდა: საქართველო ამ ტურნირში წარმოდგენილია თბილისის „განთიადის" ჩოგბურთელებით.

განთიადელებმა არად ჩააგდეს ის, რომ მათს გუნდში არ იყო ექსტრაკლასის არც ერთი მოთამაშე. პირველი მატჩი მათ მეტად დაძაბულ ბრძოლაში მოუგეს მოსკოვის „ლოკომოტივს" — 2:1 (ხოხლოვმა დაამარცხა ახალაძე, ვერულავამ — იევლევი. წყვილთა შეხვედრაში გამარჯვება კვლავ საქართველოს წარმომადგენლებს ხვდათ).

იმავე დღეს განთიადელები შეხვდნენ მემორიალის ფავორიტებს — ცსკა-ს ჩოგბურთელებს. სსრ კავშირის „მეორე ჩოგანმა" ვ. ეგოროვმა კინაღამ წააგო ახალაძესთან: გადამწყვეტ პარტიაში, როცა ანგარიში იყო 5:3, თბილისელს მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ... საბოლოოდ დამარცხდა — 8:10, 6:2, 7:9. ვერულავამ წააგო კოროტკოვთან.

ამ დღეს ბაქოს „ნეფტიანიკი" დამარცხდა მოსკოვის „სპარტაკთან" — 1:2.

ვაჟთა გუნდური ნახევარფინალები ასე დაწყვილდნენ: ცსკა — „სპარტაკი" (მოსკოვი), სოჭის გუნდი — „ტრუდი" (მოსკოვი).

დაიწყო შერეულ წყვილთა პირადი შეჯიბრებაც.

[illegible]

◆ სოხუმი

აქ გაიმართა აფხაზეთის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სოხუმის, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, გუდაუთისა და გაგრის რაიონების ათლეტები. I ადგილი დაისაკუთრა სოხუმის რაიონის ნაკრებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. ჯორჯიკია (გულრიფში), მ. ახვლედიანი, ვ. ოსია (ორივე — გუდაუთა), მ. კიკნაძე, ნ. არქანია, ლ. წურწუმია, ზ. ხარაიშვილი (ყველა — სოხუმი), პ. ლამანგია (გალი).

შ. ჯალაღონია.

◆ ლაგოდეხი

5 გუნდის მონაწილეობით ჩატარდა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. I ადგილი ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდმა დაისაკუთრა.

ე. ბაბაშვილი.

მძლეოსანთა რაიონული...

წითელწყაროს სტადიონზე გაიმართა მძლეოსანთა რაიონული შეჯიბრება.

ზემომაჩხაანელმა დ. ყოჩიაშვილმა შუბის ტყორცნაში რაიონის ახალი რეკორდი დაამყარა — 62 მ. იგი პირველი იყო ბადროს ტყორცნაშიც.

ხელყუმბარის ტყორცნაში ყველას აჯობა ჯაფარიძელმა ქ. ბოსტოღანაშვილმა — 65 მ.

100 და 400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა თ. იაკობაშვილმა (ზემო მაჩხაანი), ხოლო 800 მეტრზე — წითელწყაროს კირქვის კარიერთა სამმართველოს გუნდის წევრმა ზ. ჩალაბაშვილმა — 2.17,0.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მძლეოსნებს ხვდათ. II ადგილზეა ჯაფარიძის კოლმეურნეობის, ხოლო III — ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის გუნდი.

გ. ყოჩიაშვილი,
წითელწყაროს რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალიაო

... შარშან რაიონში ახალგაზრდების მიერ წესრიგის დარღვევის რამდენიმე შემთხვევაა აღნუსხული, — აღინიშნა კომკავშირის დმანისის რაიკომის VI პლენუმზე. ითქვა, რომ ეს კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების უყურადღებობის შედეგია. სკოლებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურული კოლექტივებისა და სექციების მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე, ტურნირები იშვიათად ტარდება და ახალგაზრდობა უმეტესად ქუჩაში ატარებს თავისუფალ დროს.

რაიონის სპორტკავშირის მუშაობის ერთადერთი ნაკლი ახალგაზრდებთან სუსტი კავშირი როდი იყო. იგი სათანადოდ არ ზრუნავდა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის გაშლისთვის, ბაზების ქსელის გაფართოებისთვის, იშვიათად ეწყობოდა რაიონული შეჯიბრებები და ა. შ. ამიტომაც იყო, რომ სპორტკავშირის ძველი ხელმძღვანელობა შეცვალეს — რაისაბჭოს თავმჯდომარედ ბაქოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, გამოცდილი მუშაკი ი. მუსტაფაევი აირჩიეს.

თავმჯდომარეს თავდაპირველად გაუჭირდა, მაგრამ როდი შეშინდა. წლეულს უკვე 10 შეჯიბრება გაიმართა და მათში 700-მდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა. ოღონდ ეს იყო, საქმე იმით გაიოლდა, რომ ფრენბურთში ექვსჯერ მოეწყო ტურნირი. ამას გარდა, გაიმართა ამხანაგური მატჩები სომხეთის კალინინის რაიონის ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდებთან.

დმანისელი მაგიდის ჩოგბურთელები და ფრენბურთელები კარგად გამოვიდნენ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, ფრენბურთელი ა. ახმედოვი კი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებშიც ჩაირიცხა. რაიონში ნიჭიერი მძლეოსნებიც ჰყავთ, მაგრამ ბაზების უქონლობის გამო ტექნიკას ვერ ხვეწენ და დიდ სარბიელს მიღმა არიან დარჩენილი.

დმანისელები საიუბილეო სპარტაკიადას სტადიონის მშენებლობის განახლებით გამოეხმაურნენ: სანახევროდ შემოღობეს, შემდეგ მიწა მოასწორეს, მაგრამ ფეხბურთის მინდვრისა და სხვა მოედნების მოწყობა ისევ გაუჭირდათ.

ერთი სიტყვით, სპორტბაზებით დმანისელები განებივრებული არ არიან. მთელი რაიონის ავლადიდება 3 საკოლო სპორტდარბაზი, ფრენბურთის 37, კალათბურთის 27 მოედანი და ფეხბურთის 8 მინდორია. სანიმუშო წესრიგზე არც ეს ბაზებია. ავიღოთ ერთი მაგალითი: რაიონის განათლების განყოფილებამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დასაჯილდოებლად წარუდგინა დმანისის საშუალო სკოლა, როგორც სპორტული ბაზების შეკეთებისა და მოწყობის ერთთვიურში გამარჯვებული კოლექტივი. განათლების განყოფილების გამგე ა. მანსუროვი მიმართვაში წერდა: ამ სკოლას ფეხბურთის პირველხარისხოვანი მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის კეთილმოწყობილი მოედნები აქვსო. სინამდვილეში კი ამ „სანიმუშო" ბაზებს ცხადად ატყვია გულგრილობისა და მოუვლელობის კვალი.

რაიონში 37 სკოლაა, სადაც ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საქმეს 15 უმაღლესი განათლების, 3 საშუალო განათლების მქონე სპეციალისტი და 19 არასპეციალისტი ემსახურება. ცხადია, მათთვის ზედმეტი როდი იქნებოდა კვალიფიკაციის ამაღლებელი სემინარების გამართვა, მაგრამ, რატომღაც, ეს დღემდე არც განათლების განყოფილებას მოჰგონებია, არც სპორტკავშირს.

ყველას მაინც განთიადის სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი სჯობს (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. დევნოზაშვილი). ბავშვებს საკუთარი ხელით მოუწყვიათ ფეხბურთის მინდორი და ფრენბურთის მოედანი, ჰყავთ კარგი ფეხბურთელები, ფრენბურთელები და მძლეოსნები. სექციების რეგულარულ მუშაობაში ფიზაღზრდის მასწავლებელს სხვა პედაგოგებიც ეხმარებიან. სათანადოდაა გამოყენებული მოსწავლეთა აქტივი. სხვათა შორის, ამ სკოლის აღსაზრდელები საკოლმეურნეო მინდვრების ხშირი სტუმრებიც არიან: წლეულს მათ ერთ თვეში 60 ტონა კარტოფილი ამოიღეს და 30 ტონა ვაშლი მოკრიფეს.

ცუდად არც განახლებისა და გომარეთის სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები მუშაობენ, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია. აბა, რა უნდა ასწავლოს ბავშვებს ჯავახის რვაწლიანი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა თ. ანდიაშვილმა? მან ხომ ისიც არ იცის, როდის ჩატარდა ბოლო რესპუბლიკური სპარტაკიადა.

გამაჯანსაღებელი სპორტული საქმიანობა არც საკოლმეურნეო ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და საბჭოთა მეურნეობებში დგას სათანადო დონეზე. შარშან, მაგალითად, 37 კოლმეურნეობიდან იურიდიული საწევრო მხოლოდ რვამ გადაიხადა. იშვიათად ტარდება რაისაბჭოს ჩემპიონატები და თუ ჩატარდა, არც განაცხადებს თხოულობს ვინმე, არც ექიმის ნებართვას, არც გუნდების დროულად გამოცხადებას. ერთ თვეში დასამთავრებელი ტურნირი ზოგჯერ მთელ წელიწადს გრძელდება.

რაიონის ფიზკულტურულ კოლექტივებში არც მეთოდისტების დანიშვნაზე ზრუნავენ. ამამლინის მერძეობა-მეკარტოფილეობის, აგრეთვე, გომარეთის, დმანისის, ზემო ყარაბულახის საბჭოთა მეურნეობებს ყველა უფლება და საშუალება აქვთ, რომ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტები ჰყავდეთ, მაგრამ დღემდე ამაზე არავინ ფიქრობს. გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა კი ჩამკვდარია.

ერთი სიტყვით, დმანისის რაიონში ვერც ი. მუსტაფაევმა გააწყო რამე. ვერ დარაზმა აქტივი. ნათქვამია: მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. როგორც ჩანს, მარტო სპორტკავშირის თავმჯდომარეთა ცვლა საქმეს ვერ უშველის. დმანისის სპორტკავშირმა და კომკავშირის რაიკომმა დროულად უნდა იზრუნონ ამ ყოვლად არანორმალური მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

დმანისი.

რედაქციისგან: საქართველოს სპორტკავშირმა ამას წინათ განიხილ დმანისის რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხი და სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარეს ი. მუსტაფაევს სათანადო მითითებანი მისცა. მასვე დაევალა დროულად აღმოფხვრას ნაკლოვანებები, პრეზიდიუმის სხდომაზე ხშირად მოისმინოს სპორტ საზოგადოებების ჩამორჩენილი რაისაბჭოების, კოლექტივების, სექციების მუშაობის საკითხი. სათანადო დახმარება აღმოუჩინოს მათ, რეგულარულად გამართოს ტურნირები, იზრუნოს ბაზების მოწყობისთვის, ფართო გაშალოს საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა და სოციალისტურ შეჯიბრება ფიზკულტურის კოლექტივებში საქმიანობის უკეთ წარმართვისთვის.

„ლელოს" წერილების კვალდაკვალ

„რბენა დაბრკოლებებით"

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსი ვარდოსანიძე გვატყობინებს, რომ „ლელოს" 8 ოქტომბრის ნომერში სათაურით გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურ

ამჟამად გათვალისწინებულია, რომ წესრიგზე მოიყვანონ მძლეოსნ ბისთვის განკუთვნილი საშხაპე და გასახდელი ოთახი, სარბენი ბილიკ მოაწყონ სახტომი ორმოები, შეაკეთონ ინვენტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულამანიძის ოქროს მედალი



ტალინში ექვს დღეს გასტანა მუშკეტერთა ბრძოლამ. 256 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს სსრ კავშირის პროფკავშირთა პირველობას. მონაწილეთა შორის 8 ქართველიც იყო. მათ ფარიკაობის მაღალი კლასითა და დიდი ბრძოლისუნარიანობით აღაფრთოვანეს მაყურებლები და სპეციალისტთა დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. ჩვენი მოფარიკავეებიდან ორმა ოქროს, ხოლო ერთმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ვიდრე შეჯიბრების ანალიზს დავიწყებდეთ, გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ პროფკავშირების ახალ ჩემპიონზე შ. სულამანიძეზე. იგი თითქმის ათი წელია ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე და უნდა ითქვას, რომ დიდი წარმატებითაც. საგულისხმოა ამ მოფარიკავის უჩვეულო ლტოლვა გამარჯვებისკენ, რაც ესოდენ საჭიროა ყველა სპორტსმენისთვის. ამას წინათ, დნეპროპეტროვსკში სულამანიძემ მოიგო „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა. ზოგიერთმა სკეპტიკოსმა ეს წარმატება შემთხვევას მიაწერა. და აი, ტალინის ჩემპიონატში მან კვლავ დაამტკიცა, რომ ძალა შესწევს პირველობას შეეცილოს ყველა უძლიერეს სპორტსმენს. შოთამ ასპარეზობა უხეიროდ დაიწყო და ფინალში ერთი წაგებით გავიდა. ბოლოს ი. ხაჩატურიანმა, ი. ვოლეტოვმა, ვ. კორშუნოვმა და შ. სულამანიძემ თანაბარი ქულები დააგროვეს. მათ შორის დაინიშნა დამატებითი შეხვედრები და ოქროს მედლისთვის ბრძოლა გაგრძელდა. ჩემპიონი ვერც ამ გადაბრძოლებამ გამოავლინა. ახლა ორი სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს ოქროს მედალს — ხაჩატურიანი და სულამანიძე (ხაჩატურიანი სსრ კავშირის ნაკრების წევრია და ხალხთა IV სპარტაკიადის პრიზიორი). სულამანიძემ აშკარად დაჯაბნა მეტოქე. შოთამ დამსახურებულად გაიმარჯვა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. იგი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან თ. ისლამოვთან ვარჯიშობს.

არანაკლებ წარმატებას მიაღწია ჭაბუკმა ესპადრონისტმა დ. შარაშენიძემ, რომელმაც თანატოლებში I ადგილი დაიკავა.

ავადმყოფობის გამო წარუმატებლად გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი რუსუდან კეკელია. სამაგიეროდ, მისმა თანაგუნდელმა მ. კოხრეიძემ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მაყვალამ ჩამოიტოვა სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორგზის ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ვ. პრუდსკოვა, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონი ნ. კონდრატიევა, სსრ კავშირის ნაკრების წევრი ს. სოლდატოვა და სხვ.

ესპადრონისტებიდან ფინალში გავიდნენ გ. ლორთქიფანიძე და ა. გოგელია. უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ესპადრონისტის თ. უკლების წარმატებაც. იგი პირველად გავიდა ასეთი დიდი შეჯიბრების ფინალში.

ეს იყო ქართველ მუშკეტერთა დიდი წარმატება.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

• • •

სურათზე: შ. სულამანიძე ვარჯიშის დროს. ფოტო მ. ზარგარიანისა.

„სუსტთა სქესის" ძალა

ოლიმპიური სარბიელი ქალებისთვის არც ისე დიდი ხნის წინ გახდა მისაწვდომი. თანამედროვეობის პირველ ოლიმპიადებში მხოლოდ ვაჟები მონაწილეობდნენ. ალბათ თავს იჩენდა უძველესი ტრადიცია, რომელიც ქალებს უკრძალავდა არა მარტო მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში, არამედ სტადიონზე გამოჩენასაც კი.

მაგრამ ტრადიციები მარადიული როდია. 1912 წლის თამაშებში ქალებს გამონაკლისის სახით დართეს ნება, რომ ცურვაში ეცადათ ძალა. 1928 წელს ამას დაემატა ტანვარჯიში და მძლეოსნობის რამდენიმე სახეობა. შემდეგ ქალებმა ბრწყინვალე გამარჯვებებით დაამტკიცეს, რომ მათ სრული უფლება აქვთ საპატიო კვარცხლბეკზე ვაჟების მხარდამხარ დაიკავონ ადგილი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრი ქვეყნის სპორტულმა ჟურნალისტებმა მოაწყვეს ანკეტა. ათ საუკეთესო ათლეტს შორის მათ დაასახელეს ფანი ბლანკერს-კოენიც. ახალგაზრდა ჰოლანდიელმა სპორტსმენმა 1948 წლის ოლიმპიადაში მოიგო 100 და 200 მეტრზე რბენა, თარჯრბენი, ესტაფეტა 4×100 მეტრზე და ოქროს 4 მედალი მოიპოვა. 1964 წელს ინსბრუკში, ზამთრის IX ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენმა ლიდია სკობლიკოვამ ყინულის ბილიკზე ადრე მოპოვებულ ორ ოლიმპიურ ოქროს მედალს კიდევ ოთხი დაუმატა.

მოკიდებული 1952 წლიდან, როცა ოლიმპიურ სარბიელზე სსრ კავშირი გავიდა, ჩვენს სპორტსმენ ქალებს წარმატება მუდამ თან სდევთ. და აი, რა არის საინტერესო: თუ ჩვენი დროის ჩემპიონი ქალების შედეგებს პირველი ოლიმპიური გმირი ვაჟების რეკორდებს შევადარებთ, უპირატესობა „სუსტთა სქესის" მხარეზე აღმოჩნდება. ავიღოთ, მაგალითად, 100 მეტრზე რბენა. პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა თომას ბურკემ ეს მანძილი 12 წამში გაირბინა. 1967 წელს, მოსწავლეთა X საკავშირო სპარტაკიადაში ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ნადია ბესფამილნაიამ, რომელმაც 100 მეტრი 11,6 წამში გაირბინა. ნადიასი წარსულის ბევრ ჩემპიონს შეშურდებოდა, მათ შორის, ბურკესაც.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში კლარკი 635 სანტიმეტრზე გადახტა. იგივე შედეგი აჩვენა ჩვენმა ტანია ბიჩკოვამ წლეულს, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1912 წლის ოლიმპიადის მონაწილე მოცურავე ქალებმა 100 მეტრზე ბრძოლა დაიწყეს სარეკორდო შედეგით, რომელიც პირველ ოლიმპიადაში აჩვენა უნგრელმა ვაჟმა სპორტსმენმა ხაიოშმა — 1.22,2. ახლა ბევრი ქალი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აღწევს შედეგს, რომელზეც უწინდელ დროში მოცურავე ვაჟები ვერც იოცნებებდნენ.

სპორტის რამდენიმე სახეობა უძველესი დროიდან იყოფოდა ვაჟთა და ქალთა სახეობებად. მაგალითად, ჭიდაობა, კრივი, ძალოსნობა, მარათონული რბენა, ფეხბურთი, ჰოკეი, რეგბი ვაჟებს ეკუთვნით.

მე სულაც არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ ქალებისთვის ყველა სახეობა შესაფერისია. მაგალითად, კრივი და ძალოსნობა მუდამ ვაჟთა პრივილეგიად დარჩება. მაგრამ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, რაც დაგვარწმუნებს, რომ „სუსტთა სქესის" წარმომადგენლები სინამდვილეში არც ისე სუსტები არიან.

ამ რამდენიმე წლის წინათ პრესაში საინტერესო ცნობა გამოჩნდა. მასში ნათქვამი იყო, რომ ქალაქ ალიკანტეს (ესპანეთი) მცხოვრებს, ვინმე სენიორიტა ჰერმინია ალვარესს შვიდი ბანდიტი დაესხა თავს. შვიდივე მძიმედ დაშავებული მიიყვანეს საავადმყოფოში. საწყლებს ბედი არ ჰქონიათ. მათ არ იცოდნენ, რომ სენიორიტა ალვარესი გახლდათ „ქალი-გოლიათი" და ცირკში მუშაობდა. სარბიელზე რომ გამოდის, ალვარესს მხარზე გადებული აქვს ფიცარი, რომელზეც რვა აკრობატი ასრულებს ტრიუკებს.

რა თქმა უნდა, ეს გამონაკლისია. მაგრამ აი, კიდევ ერთი მაგალითი:

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენში ცხოვრობს ერთი გოგონა — იანა დუსოვა. იგი არაფრით განსხვავდება თანატოლებისგან — დადის სკოლაში, თამაშობს თოჯინებით, თოკზე ხტუნაობს და უყვარს, დედა რომ საინტერესო ზღაპრებს უკითხავს. მაგრამ რაკი მეზობლად მხოლოდ ბიჭები ცხოვრობენ, 8 წლის იანა შეეჩვია „მამაკაცთა საზოგადოებას".

ერთხელ მისი მეგობრები ძიუდოისტთა საბავშვო სექციაში ჩაეწერენ. იანამ გადაწყვიტა არ ჩამორჩენოდა მათ და მწვრთნელს სთხოვა, მეც ჩამწერეო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცივი უარი სტკიცა:

— ეს სპორტი გოგოების საქმე არ არის! — მტკიცედ უთხრა მწვრთნელმა.

მაშინ იანამ სთხოვა, ვარჯიშს მაინც დავესწრებიო.

— კარგი, — დაეთანხმა მწვრთნელი, — იარე, რა მენაღვლება.

გავიდა ხანი და ერთხელ იანამ თქვა:

— ეგენი რომ აკეთებენ, მაგას მეც გავაკეთებ.

— როგორ? — გაოცდა მწვრთნელი.

— როგორ და აი, ასე.

ამ სიტყვებზე გოგონა ზორბა, 14 წლის ბიჭთან მივიდა და მოხერხებული ილეთით დასცა იგი ხალიჩაზე.

მას შემდეგ მწვრთნელმა იანას ვარჯიშის ნება დართო. გოგონამ ჩქარა შეისწავლა ძიუდოს ილეთები და მშვენივრად იყენებს ამას გამოცდილ სპორტსმენებთანაც კი.

სირბილში, როგორც ცნობილია, ვაჟებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს და ქალებიც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ვაჟებს გრძელ მანძილებზე შეუძლიათ ირბინონ, ქალებს კი არა. ქალებისთვის ყველაზე გრძელი საასპარეზო მანძილი 1 მილია (1609 მეტრი). მაგრამ არ არსებობს წესი უგამონაკლისოდ. ირლანდიაში, მაგალითად, ქალები სიამოვნებით მონაწილეობენ „უგრძეს" დისტანციებზე შეჯიბრებებში. დუბლინში, ფორმასტონ-კოლეჯის სტადიონზე ახალგაზრდა სპორტსმენმა ქალმა ენ ო'ბრაიენმა ამას წინათ 10 კილომეტრი 38 წუთსა და 6,4 წამში გაირბინა.

თქვენ იტყვით, 10 კილომეტრი მაინც არ არის მარათონული დისტანციაო. თუ ასეა, გაეცანით 13 წლის მოსწავლე გოგონას, რომელიც კანადის ქალაქ ტორონტოში ცხოვრობს. მისი სახელია მორინ უილტონი. შესახედავად მორინი ერთი ჩვეულებრივი გოგონაა, სიმაღლით 138 სანტიმეტრი, წონით — 38 კილოგრამი. აი, ამ პატარამ 1967 წელს 42 კილომეტრი და 195 მეტრი 3 საათში, 15 წუთსა და 22,8 წამში გაირბინა მარათონელ ვაჟებთან ერთად. მორინმა ოცდარვიდან ოცდაორი ვაჟი ჩამოიტოვა და ფინიშთან მეექვსე მივიდა.

ექიმის დასკვნით, გოგონამ ჩინებულად, ბევრ მეტოქეზე უკეთესადაც კი გადაიტანა გამოცდის ყველა სიძნელე. შეჯიბრების დამთავრებიდან უკვე ორი წუთის შემდეგ მას ნორმალური მაჯისცემა ჰქონდა.

მ. უილტონი სულაც არ გახლავთ რაღაც სასწაული. უბრალოდ, უყვარს რბენა და სიამოვნებით ვარჯიშობს — ყოველდღე 16 კილომეტრს ფარავს.

ნორჩ სპორტსმენს უკვე გაუჩნდა მიმდევრები ზოგიერთ ქვეყანაში. ვინ იცის, შეიძლება გავიდეს ხანი და მარათონული რბენა ქალთა შეჯიბრებების ჩვეულებრივ სახეობად იქცეს. როგორც იქცა, მაგალითად, ცურვა, ველოსპორტი, ფრენბურთი.

ა. სვეტოვი.

• • •

სურათზე: ბლანკერს-კოენი 4×100 მეტრზე ესტაფეტის ფინიშთან.

ხანმოკლე ენთუზიაზმი და გადარჩენილი მატჩი

რიგასა და კაუნასში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

ლატვიის დედაქალაქში ადგილობრივი ვეფ-ი მეორედ შეხვდა ტარტუს „კალევს". წინა დღეს ესტონელებმა სატურნირო ცხრილში პირველი ნოლი ჩაიწერეს და, ბუნებრივია, სარევანშოდ იყვნენ განწყობილი. მატჩის ბედი, ფაქტიურად, შესვენებამდე გადაწყდა. სტუმრებმა გაითვალისწინეს წინდღით დაშვებული შეცდომები, საიმედოდ „ჩარაზეს" საკუთარი ფარის მისადგომები, გადაახალისეს თავდასხმა და პირველ ტაიმში 10-ქულიან უპირატესობას (36:26) მიაღწიეს. მერე თამაში უინტერესო გამოდგა. ეს გასაგებიცაა: „კალევი" მხოლოდ უპირატესობის შენარჩუნებაზე ფიქრობდა.

მაგრამ აი, შუა ტაიმში სხვაობა ანგარიშში მინიმუმამდე დავიდა, მაგრამ ეს იყო ხანმოკლე ენთუზიაზმი, განწირულთა ბოლო გაბრძოლება. ესტონელებმა სულ მალე აღადგინეს სტატუს-ქვო და გაიმარჯვეს — 72:66. რევანში შედგა!

გაცილებით რეალისტურად შეაფასა კაუნასის „ჟალგირისმა" წინა დღის შეხვედრა ლენინგრადის „სპარტაკთან". ლიტველებს კარგად ახსოვდათ, თუ როგორი ნერვული და ფიზიკური დაძაბულობის ფასად მიაღწიეს იმ ორქულიან უპირატესობას, რამაც მათ საბოლოოდ ესოდენ ძნელი გამარჯვება მოუტანა. ახსოვდათ და სწორედ ამიტომ მატჩის დასაწყისშივე ალკვეთეს მეტოქის მხრიდან ყოველგვარი „ექსცესები". ყველაფერი მიდიოდა ისე, როგორც „ჟალგირისმა" ჩაიფიქრა და მეტოქის ამ მოჩვენებითი მორჩილებით კმაყოფილმა, ოდნავ მოადუნა სიფხიზლე. რა მოხდა მერე, ძნელი სათქმელია, მაგრამ გუნდი მაშინ მოვიდა გონს, როცა სამდივნო აღნიშნა ტაიმის დამთავრება და სადემონსტრაციო დაფაზე აღიბეჭდა ოთხი სამიანი — 33:33.

და აი, ყველაფერი თავიდან დაიწყო. კაუნასელებმა უკვე კარგი გაკვეთილი მიიღეს და ახალი შეცდომების დაშვებას აღარ აპირებდნენ. საბოლოოდ „ჟალგირისმა" გაიმარჯვა — 73:66.

სსრ კავშირის ჩემპიონი — ცსკა 19 დეკემბრამდე თავისუფალია. თავისუფალია, აგრეთვე, სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც ამ დღეებში შეიკრიბა მოსკოვში. და ვინაიდან ორივე გუნდს დრო თავსაყრელი აქვს, მათ ერთმანეთში მოსინჯეს ძალა. გაიმარჯვა ნაკრებმა — 72:66 (33:32).

ნ. ბუბუშვილი.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

● **მელბურნი**, 14 დეკემბერი. ცნობილმა ამერიკელმა ზანგმა მორბენალმა ტ. სმითმა აქ თავისი გამოსვლა მარცხით დაიწყო. 220 იარდზე რბენაში მსოფლიო რეკორდის მფლობელმა ავსტრალიელმა პ. ედიმ ამ დისტანციაზე აჩვენა 21,2. სმითი მკერდით უკან იყო.

● **ჰელსინკი**, 14 დეკემბერი. ფინეთისა და ნორვეგიის ჰოკეისტთა ეროვნული გუნდების მატჩი დამთავრდა ფინელთა გამარჯვებით — 3:1.

● **სტოკჰოლმი**, 14 დეკემბერი. ინგლისელი ჩოგბურთელები ზედიზედ მეოთხედ დაეუფლნენ „სამეფო თასს": ფინალში მათ სძლიეს შვეციელებს — 2:1. ეს შეჯიბრება დახურულ კორტებზე ევროპის არაოფიციალურ გუნდურ პირველობად ითვლება (საბჭოთა სპორტსმენები ამ ტურნირში არ მონაწილეობდნენ).

● **მონრეალი**, 14 დეკემბერი. გრენობლის თეთრ ოლიმპიადაში საასპარეზოდ კანადა გაგზავნის 73 სპორტსმენს, რომლებიც გამოვლენ სათხილამურო რბოლებში, ტრამპლინიდან ხტომაში, ბიატლონში, ჰოკეიში, ფიგურულ სრიალში და სხვ.

● **მინსკი**, 15 დეკემბერი. ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ჩემპიონატის XV ტურში მსოფლიო ჩემპიონმა კუპერმანმა (კიევი) მოუგო ფედორუკს (მოსკოვი). მისმა მთავარმა მეტოქეებმა — მოსკოველმა შჩოგოლევმა, რიგელმა ანდრეიკომ და მინსკელმა განტვარგმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს. XVI ტურში კუპერმანმა თავი აარიდა გართულებებს და კორხოვთან (ოდესა) პარტიაში ყაიმით დაკმაყოფილდა. ანდრეიკომ (კალინინელ ლეშჩევთან) და განტვარგმა (ესტონელ იიულუსთან) გაიმარჯვეს და დაეწიენ კუპერმანს. ახლა სამივეს 10,5-10,5 ქულა აქვს.

● **ათენი**, 14 დეკემბერი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს საბერძნეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ზამთრის X ოლიმპიური თამაშების ცეცხლის დანთების საზეიმო ცერემონია შედგება ადრე დანიშნულ დღეს — 16 დეკემბერს 10 საათსა და 50 წუთზე ადგილობრივი დროით.

● **პალმა** (ესპანეთი), 14 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის XIV ტურში მ. ბოტვინიკმა 47-ე სვლაზე მოუგო ლიდერს ბ. ლარსენს (დანია), ხოლო ვ. სმისლოვმა — რ. კალვოს (ესპანეთი). ბ. ივკოვმა (იუგოსლავია) დაამარცხა ს. ტატაი (იტალია). ყაიმით დამთავრდა ა. ო'კელი (ბელგია) — ი. ბედნარსკის (პოლონეთი), ჟ. კორალ (ესპანეთი) — ი. დონერის (ჰოლანდია) და რ. ტორან (ესპანეთი) — ე. ჰიმენესის (კუბა) შეხვედრები.

შამონიდან გრენობლამდე

1. დიდი გზის სტარტზე

მოახლოვდა ოლიმპიური 1968 წელი. ოლიმპიური სეზონის გახსნა ტრადიციით ახლაც ზამთრის სპორტის წარმომადგენლებს უწევთ — 6-18 თებერვალს გრენობლში გაიმართება X „თეთრი თამაშები". ამასთან დაკავშირებით უინტერესო არ იქნება გავეცნოთ „თეთრი ოლიმპიადების" ისტორიას.

59 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად შეიტანეს ზამთრის სახეობები. მაგრამ ეს გახლდათ არა ზამთრის, არამედ ზაფხულის IV ოლიმპიადის დროს, რომელიც 1908 წელს ჩატარდა ლონდონში. მაშინ ინგლისის დედაქალაქის მცხოვრებლებმა და თამაშებზე ჩამოსულმა ტურისტებმა ნახეს შეჯიბრება ციგურებით ფიგურულ სრიალში და ჰოკეისტთა საჩვენებელი მატჩი.

ზამთრის სახეობების ოლიმპიურად აღიარების ყველა შემდეგი ცდა მარცხით მთავრდებოდა. მხოლოდ ზაფხულის VII (ანტვერპენი, 1920 წ.) ოლიმპიადის პროგრამაში კვლავ ვხედავთ ფიგურულ სრიალსა და ჰოკეის. ეს სახეობები ამჯერად ოფიციალურად იყო წარმოდგენილი და საერთო ჩათვლაშიც შედიოდა.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ზამთრის სახეობებში ცალკე შეიძლებოდა ოლიმპიადების გამართვა. ამ აზრს 1921 და 1922 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) სხდომებზე მხურვალედ უჭერდა მხარს კომიტეტის მაშინდელი პრეზიდენტი პიერ დე კუბერტენი. მაგრამ კუბერტენის წინადადებას თურმე მაშინ განხორციელება არ ეწერა. „თეთრ ოლიმპიადას" განსაკუთრებით აღუდგნენ წინ ჩრდილოეთის ქვეყნები. ამბობდნენ: ზამთრის სახეობები არ შეიძლება ოლიმპიურს მივაკუთვნოთ. ვინაიდან მათი სამშობლო უძველესი ელადა კი არა, სკანდინავიის ქვეყნებიაო.

დავა კიდევ ერთ წელიწადს გაგრძელდა. ბოლოსდაბოლოს „თეთრი ოლიმპიადის" მომხრეებმა მეტოქენი როგორც იქნა დაიყოლიეს, თუმცა სამისოდ მნიშვნელოვანი დათმობაც მოუხდათ: ზამთრის თამაშებისათვის ოლიმპიური არ უნდა ეწოდებინათ.

და აი, 1924 წელს შამონიში გაიმართა I თამაშები. ასპარეზობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — საფრანგეთის საკურორტო ქალაქში ევროპისა და ამერიკის 16 ქვეყნის 200-ზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. დადასტურდა, რომ ზამთრის სახეობები მარტო ჩრდილოეთის ქვეყნების ეროვნული სპორტი როდია. ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების მიზანშეწონილობა უკვე აღარავის აეჭვებდა.

ზამთრის I თამაშებში, რომელსაც 4 წლის შემდეგ მაინც დაუმატეს სახელად „ოლიმპიური", არაოფიციალური გუნდური ჩათვლა ნორვეგიელებმა მოიგეს. მათ საბოლოოდ 122,5 ქულა დააგროვეს ფიგურულ სრიალში, ჰოკეიში, სათხილამურო და საციგურაო სპორტში, ბობსლეიში. მეორე პრიზიორი — ფინეთის გუნდი ნორვეგიელებს 63 ქულით ჩამორჩა, III ადგილზე გასულმა აშშ-ს გუნდმა კი ძლივს დააგროვა 29 ქულა.

ნორვეგიელებმა შინ დაბრუნებისთანავე ძეგლი აუგეს შამონის გმირს ტორლეიფ ჰაუგს, რომელმაც ოქროს 3 და ბრინჯაოს 1 მედალი მოიპოვა. ისინი მაშინვე შეუდგნენ გულდაგულ სამზადისს ჩრდილოეთის ბოლო თამაშებისთვის, რომელიც 1926 წელს გაიმართა და მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებების ყველა სადავო „თეთრ ოლიმპიადას" გადაულოცა.

II ოლიმპიადისთვის მზადებამ არნახულ ტემპს მიაღწია. თამაშებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ამერიკის, ევროპისა და აზიის 25 ქვეყანამ. შვეიცარიაში, ოლიმპიადის ცენტრ სანქტ-მორიცში 500-მდე სპორტსმენსა და 3.000-მდე ტურისტს ელოდნენ, რაც ამ დროისთვის უჩვეულო ციფრი გახლდათ. პროგრამაც გაიზარდა — დაემატა მთიდან მარხილებით დაშვება.



გრენობლი. ზამთრის X ოლიმპიური თამაშების ცენტრში დასასრულს უახლოვდება სტადიონის მშენებლობა.

ფოტო ცაფ-საკდესისა.

მასპინძლებს უდიდესი საზრუნავი გაუჩნდათ. ამ საზრუნავს შვეიცარიელებმა თავი წარმატებით გაართვეს და შეჯიბრება ყველა სახეობაში მაღალ დონეზე ჩაატარეს. სანქტ-მორიცშიც ნორვეგიელებმა ისახელეს თავი: 93 ქულა მოაგროვეს. ამერიკელებმა კი, რომლებიც II ადგილზე გავიდნენ, მხოლოდ ამის ნახევარი. ოლიმპიადაში 42 მედალი უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ 3 მედალი გაუნაწილებელი დარჩა, ვინაიდან 10 კილომეტრზე ციგურებით რბენაში შეჯიბრება არ ჩატარდა (იმ დღეს ერთბაშად დაცხა — 25 გრადუსი).

ოლიმპიადის დღეებშივე გადაწყდა, რომ III თამაშების მასპინძელი აშშ ყოფილიყო. ამერიკელებმა ოლიმპიურ კომიტეტს თავიანთი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სოფელი ლეიკ-პლესიდი შესთავაზეს სარბიელად.

III ოლიმპიადის ორგანიზატორები ბევრს ლაპარაკობდნენ შეჯიბრებისთვის მზადებაზე, სტუმრებს იდეალურ პირობებს აღუთქვამდნენ, მაგრამ როცა 1930 წელს მათ სამზადისს სპეციალური კომისია გაეცნო და შემოწმების შედეგები საქვეყნოდ გახდა ცნობილი, ბევრმა ქვეყანამ გუნდების გაგზავნისგან თავი შეიკავა. 1932 წელს ლეიკ-პლესიდში მხოლოდ 17 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი ჩავიდა. ამერიკელებმა ვერც თამაშები ჩაატარეს ხეირიანად. მასპინძლები ყოველნაირად ცდილობდნენ გუნდური პირველობის მოპოვებას და ეს შეძლეს კიდეც — 17 ქულით „აჯობეს" ნორვეგიელებს, მაგრამ დავა ისე გაგრძელდა, რომ საბოლოო შედეგები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ 2 წლის შემდეგ დააჯამეს. III ადგილი ამჯერად კანადელებს ხვდათ. ისინი განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ფიგურულ სრიალში, ჰოკეისა და ციგურებით რბენაში.

ლეიკ-პლესიდის შედეგებით განაწყენებულმა ნორვეგიელებმა მომავალ ოლიმპიადაში ასპარეზობაზე ჯერ უარი თქვეს, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტეს ამერიკელებისთვის დაემტკიცებინათ, რომ გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია) ლეიკ-პლესიდი არ არის და რომ იქ თაღლითობით ფონს ვერ გავლენ. IV ოლიმპიადის პროგრამას დაემატა ქალებისა და ვაჟების ალპური სამთო ორჭიდი, აგრეთვე, ვაჟთა ესტაფეტა 4×10 კილომეტრზე. პროგრამაში სამთო სახეობების შეტანამ ცენტრალური ევროპის ქვეყნების სპორტსმენებს საშუალება მისცა ოლიმპიური მედლებისთვის ებრძოლათ.

ამ თამაშებში ნორვეგიელებმა ოქროს 7, ვერცხლის 5 და ბრინჯაოს 3 მედალი დაისაკუთრეს. მათვე მოიპოვეს გუნდური გამარჯვება (100 ქულით). 28 ქვეყნის სპორტსმენთა შორის ერთადერთი სწორედ ნორვეგიელი ივარ ბალანგრუდი იყო, რომელმაც 4 მედალი მოიპოვა (3 ოქროსი, 1 ვერცხლისა), მაგრამ ტ. ჰაუგივით მისთვის ძეგლი როდი აუგიათ.

1939 წელს დაწყებულმა მეორე მსოფლიო ომმა დროებით გვერდზე გადადო ოლიმპიური თამაშები. 1940 და 1944 წლებში ეს შეჯიბრება არ გამართულა და მისი აღდგენა მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ქრონოლოგია არ დარღვეულა — V თამაშები 1948 წელს გაიმართა (სანქტ-მორიცში). ამჯერად პროგრამას დაემატა სპეციალური სლალომი და სწრაფდაშვება. გამარჯვება შვედებს (70 ქულა) ხვდათ. მასპინძლებმა 68 ქულა დააგროვეს. III ადგილზე გავიდნენ აშშ-ს წარმომადგენლები. ამ ქვეყნების ოლიმპიელთა წარმატება ძირითადად იმან განაპირობა, რომ შვეცია და შვეიცარია მეორე მსოფლიო ომში არ მონაწილეობდნენ. თამაშებში ჩეხოსლოვაკიელმა ჰოკეისტებმა პირველ დიდ წარმატებას მიაღწიეს — II ადგილი დაიკავეს და პირველობა კანადელებს მხოლოდ შაიბების უარესი შეფარდების გამო დაუთმეს.

ყველაზე ხალხმრავალი იყო VI თამაშები. ოსლოში (15-23 თებერვალი) სასპარეზოდ ავსტრალიელებიც კი ჩამოვიდნენ. ტურნირის საზეიმო გახსნის დღეს „ბიშლეტის" სტადიონზე თავი მოიყარა ოთხი კონტინენტის (აფრიკელთა გარდა) 1200-ზე მეტმა სპორტსმენმა და მათმა მომსახურე პერსონალმა. კიდევ გაიზარდა პროგრამა: დაემატა გიგანტური სლალომი და თხილამურებით 10 კილომეტრზე რბენა ქალთათვის. ეს იყო პირველი „თეთრი ოლიმპიადა", რომელიც დიდ ქალაქში ჩატარდა და ტურნირსაც ასობით ათასი მაყურებელი დაესწრო. ამ თამაშების გმირი იყო ნორვეგიელი ი. ანდერსენი. მან ოქროს 3 მედალი მოიპოვა ციგურებით რბენაში (1500, 5000 და 10000 მეტრზე), მეოთხე მედალს კი ამერიკელი კ. ჰენრი დაეპატრონა. ამერიკელმა ე. ლოურენსმიდიმ მოიგო ქალთა სლალომი (2.10,6) და გიგანტური სლალომი (2.06,8). მაგრამ შინ ყველაზე მეტად შერცხვენილი სწორედ ამერიკელები დაბრუნდნენ — ჰოკეისტთა ტურნირში უხეშობით მათ კანადელებსაც კი გადააჭარბეს და მხოლოდ ამის წყალობით შეძლეს II ადგილის დასაკუთრება (გაიმარჯვეს კანადელებმა). თამაშების შემდეგ ნორვეგიული გაზეთები კიდევ დიდხანს იგონებდნენ ამერიკელ ჰოკეისტთა უხამს საქციელს. „არბეიდერბლადეტი" წერდა: „სჯობდა ამერიკელები შინ მსხდარიყვნენ და ათასობით მაყურებლისთვის თავიანთი ქვეყნის ნამდვილი სახე არ ეჩვენებინათ". ოლიმპიადის მასპინძლებმა საბოლოოდ 104,5 ქულა მოაგროვეს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში და გაიმარჯვეს, აშშ-ს წარმომადგენლებმა კი მხოლოდ 77,5 ქულა მოიპოვეს (II ადგილი).

ოლიმპიური ბილიკი ფინელებისთვის იღბლიანი გამოდგა: მათ საერთო III ადგილი დაისაკუთრეს სათხილამურო რბოლებში წარმატების მეოხებით.

ნორვეგიელებმა ოსლოში უკანასკნელი გამარჯვება იზეიმეს. 1956 წელს ისინი იძულებული გახდნენ პირველობის გვირგვინი დაეთმოთ საბჭოთა სპორტსმენებისთვის, რომლებმაც VII ოლიმპიადაში პირველად გამოსვლით დასაბამი მისცეს თავიანთ შემდგომ წარმატებებს „თეთრ თამაშებში".

ო. გელაშვილი.

წინაოლიმპიური ბურუსი ალბიონზე

დღეს მთელი სპორტული სამყარო მეხიკოს მომავალი ოლიმპიური თამაშებით სუნთქავს. თითქმის ყველა ქვეყანაში გაცხოველებული მზადებაა გაჩაღებული ამ გრანდიოზული ასპარეზობისთვის. სპორტული მიმომხილველები და ჟურნალისტები ფართოდ აშუქებენ მომავალ ოლიმპიელთა სპორტულ ფორმას, ლაპარაკობენ მათს შესაძლო წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე, აინტერესებთ ვარჯიშისათვის საჭირო ბაზების მდგომარეობა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ჟურნალისტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ოლიმპიადისთვის მზადებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. მოვიყვანოთ ინგლისის მაგალითი. იმისთვის, რომ დიდი ბრიტანეთის ოლიმპიელებმა ჯერ გრენობლის ზამთრის თამაშებში მიიღონ მონაწილეობა, შემდეგ კი მეხიკოს ოლიმპიადაში, 150.000 გირვანქა სტერლინგია საჭირო. ინგლისელ სპორტის მესვეურებს უჭირთ მთავრობისგან ამ თანხის მიღება. ამას გარდა, ოლიმპიელებს სჭირდებათ სამედიცინო აღჭურვილობა, სპორტული იარაღები, ტანსაცმელი, რისთვისაც დამატებითი სახსრები უნდა გამოიყოს. მართალია, ზოგიერთი მდიდარი მეცენატი ეხმარება სპორტსმენებს, მაგრამ მრეწველებისა და ვაჭრებისგან ფულის მიღება ინგლისის სპორტის მესვეურებს მაინც დიდი ხვეწნისა და მუდარის ფასად უჯდებათ.

გაზეთ „მორნინგ სტარის" სპორტული მიმომხილველი ს. ლევენსონი წერს: „უკვე დროა ბოლო მოეღოს მთავრობის ასეთ დამოკიდებულებას სპორტისადმი, ხოლო შექმნილ მდგომარეობას პირველ ყოვლისა დაუფიქრდეს ე. წ. სპორტის მინისტრი დ. ჰოველი. ქვეყნის ოლიმპიური ასოციაციის მდივანმა ს. დუნკანმა სასწრაფოდ უნდა მიმართოს მთავრობას, რომ ოლიმპიელთა გასამგზავრებლად საჭირო 150.000 გირვანქა სტერლინგის ქვითარი მიიღოს. არა მგონია მოიძებნოს ადამიანი, რომელიც დამარწმუნებს, რომ მთავრობას არ შეუძლია გამოყოს 150.000 გირვანქა სტერლინგი მაშინ, როცა ათეული მილიონები იხარჯება შეიარაღებისთვის... სამარცხვინოა ის ამბავი, რომ მეხიკოს წინაოლიმპიურ თამაშებზე ფონ-რომეოში (საფრანგეთი) სავარჯიშოდ წასასვლელი ფული ჩვენს სპორტსმენებს გაზეთების რედაქციებმა და საჰაერო ტრანსპორტის სამინისტრომ გამოუყვეს".

სპორტული ბაზების მცირე რიცხვი უარყოფით გავლენას ახდენს სპორტულ ფორმაზე, განსაკუთრებით ისეთ სახეობებში, როგორიცაა ბადრონის ტყორცნა, ბირთვის კვრა, სროლა... მაგალითად, წყალში მხტომელი მ. ბული ზამთრის პირობებში ვერ ვარჯიშობს იმის გამო, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც ის ცხოვრობს, ზამთრის საცურაო აუზი არ არის. სხვათა შორის, ასეთი აუზების სიუხვით ვერც ინგლისი დაიკვეხნის.

„მართალია, მდგომარეობა ამჟამად უკეთესია, ვიდრე 4 წლის წინ, — ამბობს ლევენსონი, — მაგრამ მთავრობისა და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დამოკიდებულება ქვეყნის სპორტული პროგრესისა და ოლიმპიური მზადების მიმართ სათანადო სიმაღლეზე მაინც არ დგას".

როგორ ემზადება ოლიმპიური თამაშებისთვის მეორე დიდი კაპიტალისტური ქვეყანა — საფრანგეთი? როგორც ცნობილია, 1960 წელს რომის ოლიმპიადაში ფრანგები ერთობ უფერულად გამოვიდნენ. მაშინ საფრანგეთის მთავრობამ ძირეული გეგმა შეიმუშავა მათს ქვეყანაში სპორტის დონის გასაუმჯობესებლად და 1960 წლიდან 1965 წლამდე ათ მილიონ ფრანკზე მეტი დახარჯა სტადიონების, საცურაო აუზების, ტანვარჯიშის დარბაზებისა და მთელი რიგი სპორტული ბაზების მშენებლობაზე. 1966-1970 წლებში გეგმით სპორტული ბაზების მშენებლობას 15 მილიონზე მეტი ფრანკი უნდა მოხმარდეს.

ქ. მელიქიშვილი.

გ. კ. მეუნარგია

გარდაიცვალა საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი გრიგოლ კაპიტონის ძე მეუნარგია.

გ. მეუნარგია დაიბადა 1911 წელს ქუთაისში. 1932 წელს მან დაამთავრა თბილისის სამშენებლო ინსტიტუტი, ხოლო 1948 წელს — მოსკოვის ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტი და მას შემდეგ მთელი ცხოვრება საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის განმტკიცებასა და განვითარებას მოახმარა.

გ. მეუნარგიას წლების განმავლობაში ებარა პასუხსაგები საქმის ხელმძღვანელობა: 1945-46 წლებში იგი იყო „ნაუკის" რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, 1952-53 წლებში — საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1953-55 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის ჯგუფს.

1934 წლიდან ბოლო დრომდე გ. მეუნარგია პედაგოგიურ საქმიანობაში იყო ჩაბმული. იგი წლების მანძილზე ედგა სათავეში საქართველოს ფიზიკური კულტურის სპორტულ თამაშობათა კათედრას, იყო ფიზიკური აღზრდის თეორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სპეციალური ფიზიკური მომზადების ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1957 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლას.

გრიგოლ მეუნარგიას სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული კალათბურთის განვითარება. 1936 წლიდან იგი წვრთნიდა ჩვენს კოლექტივებს (თბილისის ნაკრები, „ლოკომოტივი", „დინამო", თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი), რომლებმაც ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს სამამულო კალათბურთის ისტორიაში.

გ. მეუნარგია იყო სკკპ წევრი 1942 წლიდან. სამამულო ომის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის დაიმსახურა მთავრობის რამდენიმე ჯილდო.

უაღრესად პრინციპული, საქმის მცოდნე, ენერგიული ამხანაგის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მისი მეგობრებისა და აღზრდილთა გულებში.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

თბილისის
სპორტულ
აფიშა

კალათბურთი. სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „ა" კლასი. დღეს: „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი). დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 11240